საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

კავკასიის გამაგრებული ხაზი

კავკასიის გამაგრებული ხაზი („ლინია"), სიმაგრეთა სისტემა, რომელიც ააგო რუსეთის ჯარმა კავკასიის ომების დროს. შედგებოდა ციხესიმაგრეებისა და სტანიცებისაგან, რ-თა შორის 25–30 კმ დაშორებით განლაგებული იყო ფორტები და ყოველ 3–5 კმ-ზე – საგუშაგოები. კ. გ. ხ-ის მშენებლობა დაიწყო 1735–39 და, ძირითადად, 1785 დასრულდა. შემდეგ იგი დაიყო მარცხ. ფლანგად, ცენტრად, მარჯვ. ფლანგად და შავი ზღვის ხაზად. 1830 დაღესტანსა და კახეთს შორის (ყვარელი–ზაქათალა) აიგო ლეკეთის ხაზი, 1837–39 – შავიზღვისპირეთის ხაზი (ანაპა–სოხუმი). 1860 კ. გ. ხ. გაუქმდა.